ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

№ 371

„24“ ---ოქტომბერი--- 2014 წელი

ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11

ტელ: (+995 492) 25-26–26; ფაქსი 25–30-58

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა გთხოვთ, გამოგვიქვეყნოთ საკონკურსო წესით ,,ქ.ზესტაფონში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ღამის განათებების რეაბილიტაცია და კეთლმოწყობის“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად შესყიდვის მასალები.

პატივისცემით

ტარიელ თუთარაშვილი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2014 წლის 20 თებერვლის №59 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

24 თებერვალი 2014 წელი

ქ. ზესტაფონი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1) ხვიჩა გუმბერიძე –(კომისიის თავჯდომარე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

2) მალხაზ ლოლაძე - (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

3) ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

4) თეიმურაზ წიწილაშვილი-(კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

5) გიორგი ორჯონიკიძე -(კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

საკონკურსო კომისიის აპარატი:

1) მედეა ნანიტაშვილი -- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შესმულებელი;

2) ია ჭუმბაძე -- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შესმულებელი.

დღის წესრიგი:. ქ. ზესტაფონში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ღამის განათებების რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურეობის შესყიდვისათვის კონკურსის გამოცხადება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ხვიჩა გუმბერიძემ, კომისიის წევრებს გააცნო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადებისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია.

დაადგინეს

1. გამოცხადდეს კონკურსი ქ. ზესტაფონში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ღამის განათებების რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

2. საკონკურსო მასალები გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისია:

ხვიჩა გუმბერიძე -(კომისიის თავმჯდომარე)

მალხაზ ლოლაძე - (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)

გიორგი ორჯონიკიძე– (კომისიის წევრი)

თეიმურაზ წიწილაშვილი-(კომისიის წევრი)

საკონკურსო განცხადება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24 -ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესახებ - შესაბამისად.

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (მისამართი- ქალაქ ზესტაფონი წერეთლის ქ #11) აცხადებს კონკურს ქ.ზესტაფონში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ღამის განათებების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობაზე საპროექტო სახაარჯთაარრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურეობის შესყიდვაზე და იწვევს კონკურში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
ქ.ზესტაფონში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და ღამის განათებების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობაზე საპროექტო სახაარჯთაარრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურეობის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 8100 ლარს, დღგ გათვალისწინებით
-დაფინანსების წყარო – საქართველოს მთავრობის 13.01.2014 წლის №34 განკარგულება.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:
2.1 საკონკურსო წინადადებების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19 პრიმა მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი) საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2,2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდიფიკაციო ნომერი
გ) კონკურსანტის დასახელება და საინდიფიკაციო ნომერი
დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი
2.3. დარღვევით გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
3. კონკურსი ჩატარდება -2014 წლის 24/03 14 საათზე
4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
5. საკონკურსო წინადადება კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებასთან ერთად 2014 წლის 04/03 14 საათზე შემდეგ მისამართზე- ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. # 11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
6. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ 20 კალენდარული დღე
7. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად
8. საკონკურსო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ. ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
9. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადებას. თუ კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული ფასი იქნება ერთიდაიგივე ღირებულების, უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც ექნება მეტი ღირებულების : / / /

11. შათირიშვილის ქ#4, #6, #17, #19.
12. მელქაძის ქ#4, #6.
13. შორაპანში ფარნავაზის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ეზო.

-სამუშაოები დაზუსტდება შემსყიდველთან ერთად დეფექტური აქტების მომზადების პროცესში.

- კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებული იქნება შემსყიდველისაგან მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი ადგილზე ტექნიკური პირობის შესწავლის, დაზუსტების მიზნით.

- მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს მითითებულ მისამართზე გასვლა, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა-დაზუსტება, შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ვერსია CD დისკზე ჩაწერილი.

საპროექტო - სახაარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეულ ობიექტზე უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს
2. შესაბამის სახაარჯთააღრიცხვო ღირებულებას
3. შესაბამისს ნახაზებს და სპეციფიკაციებს

- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი საამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

- გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება)

- საავტორო ზედამხედველობის ვადა - სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პროცესი.

- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი შეთანხმდება შემსყიდველთან.

-ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურეობის მთლიანად დასრულების შემდეგ სახელშეკრულებო ღირებულების 90%-ის ოდენობით, 10 საბანკო დღის განმავლობაში. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის უზრუნველსაყოფად შემსყიდველი ახდენს გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულების 10 %-ის დაკავებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვლისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შესრულებამდე.

-წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება

- მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის განმავლობაში.

კონკურსანტის რეკვიზიტები

დანართი #1

1	კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3	კონკურსანტის იურიდიული მისამართი	
4	კონკურსანტის ფაქტიური მისამართი	
5	საინდიფიკაციო კოდი	
6	ტელეფონის ნომერი	
7	ელექტრონული მისამართი	
8	მომსახურე ბანკი	
9	ბანკის კოდი	
10	ანგარიშის ნომერი	
11	შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასი	
12	საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა (საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არარნაკლები 20 კალენდარული დღე	

----------კონკურსანტის დასახელება

ხელის მოწერა ------

ინფორმაცია საპროექტო მომსახურეობის შესახებ, ბოლო 3 წლის განმავლობაში.
დანართი #2

#	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი და №

_____

კონკურსანტის დასახელება

ხელის მოწერა ------

ინფორმაცია პრეტენდენტის სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

დანართი # 3

#	ხელმძღვანელებ ისა და სპეციალისტების თანამდებობა, სპეციალობა	სახელი, გვარი	სამუშაოს საერთო გამოცდილება (წელი)	უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების წელი, სპეციალობა, დიპლომის მიხედვით	დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით

კონკურსანტის დასახელება

ხელის მოწერა ------

კონკურსანტს სამი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლები 50000 ლარის მომსახურეობა.

–სხვა დამატებითი პირობები დაზუსტებული იქნება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
<u>საკონკურსო მომსახურეობის შესყიდვა</u>

ქ. ზესტაფონი ....., 2014 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ---------- სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მომსახურეობის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ----------.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ---------- (----------) ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის ----------

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ..... ბრძანებით შექმნილი კომისია

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების- აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

9.3. -ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურეობის მთლიანად დასრულების შემდეგ სახელშეკრულებო ღირებულების 90%-ის ოდენობით, 10 საბანკო დღის განმავლობაში. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის უზრუნველსაყოფად შემსყიდველი ახდენს გაწეული მომსახურების საბოლოო ღირებულების 10 %-ის დაკავებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვლისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შესრულებამდე.

-წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,3%.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის --------- --------- 2014 წლის ----------.

13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, , რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: **მომწოდებელი**